



ახალი
„მეფენიერია ის, ვისაჲ
სამშობლოსათვის უძვერს ვულოი.“
განთიადი



„განთიადი
შუისიონო
ხინსა
ჩაჰისა.
განთიად
ნარკვლა
შენდა
და
გაჩვენო
შან..“

2023 წელი 3 ივლისი №7 (8194) ალფონსა AxaliGantiadi@gmail.com



ომან ყელოაჰყერიშვილის
80 წლის იუბილო

გვ2. „სოფლის
მხარდაჭერის
პროგრამით“

გვ2. საგანგებო
მომსახურების
აქცია

გადაარჩინა
სიმოსსლა!

გვ3.

გვ2.



კასპის მუნიციპალიტეტში
საგანგებო ბაღები
აშენდება სხრა სოფლებში:
ოკაში, ლაიისყანა, ფარა,
მეხანი, ქვემო ბოში,
ახალქალაქი, ახალსინა,
კაპთისხანი და
თვალაღი

გვ3.

გვ2. საგზაო
ინფრასტრუქტურის
მომსახურება გრძელდება
საავტომობილო
გზის
რეაბილიტაცია

გვ2.



გვ 5-7. ზოგნის
თქვეცივლის
სტენზი

გვ2. სოფელ ახალსინაში სოფელ
გამდლისწყაროში
ინტელექტ-ჩემპიონატის ფინალი

გვ2.

გვ2.



მუნიციპალიტეტის მოსახლე-
სა და ბათუმში!

გვ6.

გვ7.

კასპის „განთიადი“,
„კოსმოს“, შეხვდება



ია კარგაბათელის სახელობის
სამსახური

გვ7.

გზებში მოსახლეობის სერვისებს იწოდ



მეგობრიათ,
მთავარდღით
თქვენი
მშობლების,
მშობლიმშობლების
თბილისალური
ფეხბედი.



საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა გრძელდება

სოფელ გაბდლისწყაროში



ქვემო ჭაღის ად- მინისტრაციული ერთეუ- ლის სოფელ გაბდლისწყ- ყაროში მისასვლელი გზის ასფალტის პირვე- ლი ფენის დაგების სამ-

უშაოები დასრულდა. აღნიშნული გზის სიგრძე 1 243 გრძივი მეტრია და რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის

მიერ ფინანსდება. პროექტის ღირე- ბულება 594 999 ლარს შეადგენს და შპს "ქვენი- ფლენი" ახორციელებს. სოფელ გაბდლისწყაროში მისასვლელი გზის რე- აბილიტაცია მნიშვნელო- ვანია, აღდგენილი გზით სოფელი უკავშირდება თბილისი-სენაკი-ლე- სელიძის საავტომობილო ჩქაროსნულ მაგისტრალს. კასპის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ მაისურაძის განცხადებით, - სოფლებ- ში მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და კეთილ- მოწყობა პრიორიტეტუ- ლია, აუცილებელია ყვე- ლა სოფელს ჰქონდეს მოწყობილი, მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტუ- რა.

საავტომობილო გზის რეაბილიტაცია



კასპის მუნიცი- პალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერის პირვე- ლი მოადგილე დავით ქი- სიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბე- გლარაშვილი, საკრებუ- ლოს სივრცითი, ტერიტო- რიული დაგეგმარებითი და ინფრასტრუქტურის კო- მისიის თავმჯდომარე

ილია ქაძხაძე და მაჟორი- ტარი დეპუტატი კავთისხ- ვის საარჩევნო ოლქიდან მაია კაციაშვილი მალაშ- თიან სოფელ გუდალეთ- ში მისასვლელი საავტო- მობილო გზის რეაბილი- ტაციის ეტაპის სამ- უშაოებს ადგილზე გაეც- ნენ.

გზაზე ასფალტის საფარის პირველი ფენის დაგება მიმდინარეობს. გზის რეაბილიტაციის სა- მუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ენდროული" ახორ- ციელებს. პროექტის ღირე- ბულება 2 369 992 ლარია და მალაშთიანი დასახლებების განვითარე- ბის ფონდიდან ფინანსდე- ბა.

როგორც ვახტანგ მაისურაძემ აღნიშნა- სოფელ გუდალეთში მის- ასვლელი გზა, რომელიც ასფალტირებული არა- სოდეს ყოფილა, გაუვალი იყო და რეაბილიტაციის საჭიროებდა. პროექტი გარდაამავალია, ეტაპი გასულ წელს განხორ- ციელდა და წელს დაგას- რულდება.

მალე ადგილო- ბრივები კეთილმოწყო- ბილი გზით შეძლებენ გადაადგილებას, რომლის საერთო სიგრძე 5 818 გრძივი მეტრია.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამით"



კასპის მუნიცი- პალიტეტში გრძელდება "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" პროექტების სამუშაოების განხორ- ციელება.

ახალქალაქის ად- მინისტრაციული ერთეუ- ლის სოფელ გარეყულა- ში შიდასაუბნო გზის მოხ- რეშვის სამუშაოები მიმ- დინარეობს.

600 გრძივი მეტრი გზის სამუშაოს ინდ მეწარმე დავით სუხ- აშვილი ახორციელებს.

გადაწყვეტილება სოფლის მოსახლეობამ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრისას მიიღო.

იყიობეთ "ახალი განთიადი"!

კასპის მუნიცი- პალიტეტის სოფელ დოე- სის სასოფლო ამბულა- ტორიაში, თბილისის გუ- ლის ცენტრის მიერ კარ- დიოლოგიური პროფილ- ის დაავადებების მქონე პირთა უფასო სამედიცი- ნო მომსახურების აქციის მიმდინარეობას, კასპის მუ- ნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯ- დომარე შოთა ბეგლარაშ- ვილი ადგილზე გაეცნენ.

სოფელ დოესის, გრაკალის, თელიანის და სასირეთის კარდიოლოგ- იური პროფილის პაციენ- ტებს უფასო კონსულტ- აციები და გამოკვლევები კლინიკის ღირებულომა პროფესორმა, კარდი- ოლოგმა - არჩილ ჩუხრუკიძემ, ექიმებმა: გიორგი როგავამ, დავით ლაგვილაშვილმა, ანა კერე- სელიძემ, ლაშა ქიქვაძემ, მუდღებმა მადონა ახალაშ- ვილმა, მარიამ ლომიძემ და

გახდი დონორი, გადაარჩინე სიცოცხლე! კასპის მუნიცი- პალიტეტის მერიის მხ- არდაჭერით მერიის სა- ზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობაში სისხ- ლის ბანკის "სიცოცხლე"- ს მიერ, სისხლის გაღების აქცია გაიმართა.

აქციაში რიგითი მოქალაქეების გარდა აქ- ტიურად ჩაერთნენ ადგი- ლობრივი თვითმ- მართველობის ხელმძღ- ვანელები და თანამშრომ- ლები.

ათწლიანი მუშაო- ბის გამოცდილების მქონე

კასპის მუნიცი- პალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს.

სოფელ ახალციხ- ეში ბეტონზე ხელოვნურ- საფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამ- უშაოებს მუნიციპალიტე- ტის მერი ვახტანგ მაი- სურაძე მერიის ინფრას- ტრუქტურის სამსახურის უფროს აჩიკო გივოლაშ- ვილთან, საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბე- გლარაშვილთან და საკრე- ბულოს სივრცითი, ტერი- ტორიული დაგეგმარებითი და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ილია ქაძხაძესთან ერთად გაეცნო.

თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ მოედანზე განთავსდება ფეხბურთის კარი, კალათ- ბურთის ფარები და მოეწყ- ვება გარეგანათება.

როგორც ვახტანგ

საპედიტორი მომსახურების აქცია



ცოტნე გიორგაძემ ჩაუ- ტარეს.

ვახტანგ მაი- სურაძის განცხადებით თბილისის გულის ცენ- ტრისა და კასპის მუნიცი- პალიტეტის თანამშრომ- ლობა წლებია გრძელდე- ბა.

- მუნიციპალი- ტეტის მოქალაქეების ჯანმრთელობა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია, -

დღევანდელი აქციის მი- ზანიც ეს არის - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

აქცია კასპის მუ- ნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ჩვენი თანაქალაქელის, თბილისის გულის ცენტრის ადმინ- ისტრაციული დირექ- ტორის, ზურაბ ნიპარიშ- ვილის ინიციატივით გაიმ- ართა.

გადაარჩინე სიცოცხლე!



კლინიკა "ჯერარსის" ტრავმატოლოგია-ორთო- პედიის განყოფილების გამგემ სოსო რევაზიშ- ვილმა დონორებს უფასო კონსულტაცია გაუწია. სისხლის ბანკი "სიც-

ოცხლე" ეხმარება ადამი- ანებს, რომლებიც ებრძვი- ან სხვადასხვა მწვავე ონკოლოგიურ დაავადებას ან აქვთ სისხლის გადა- უღებელი საჭიროება.

სოფელ ახალციხეში



მაისურაძემ აღნიშნა -

სპორტული ინფრასტრუ- ქტურის განვითარება გაგრძელდება, ვიდრე ის თანაბრად ხელმისაწვდომი არ გახდება ყველასთვის. გარდა ხელოვნურსაფარ- იანი მოედნებისა, მუნიცი- პალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს გარე გამოყ-

ენების ფიტნესის ტრენა- უორების მოწყობაც.

დალი კორკო- მაშვილი, კასპის მუ- ნიციპალიტეტის მერი- ის ადმინისტრაციული სამსახურის პირველ- ადგილზე მდებარე სტრუქტურული ერ- თეულის პირველი კატ- ეგორიის უფროსი სპე- ციალისტი.

ომარ ყოვანცერის 80 წლის იუბილე

საქართველოში ლეგენდები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ისინი ქმნიდნენ ქვეყნის კულტურის ისტორიას. ამ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს სახალხო არტისტი, მსოფლიო ფოლკლორისა და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ “რუსთავის” ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელი და უცვლელი სოლისტი, სალამურის დიდოსტატი, ვირტუოზი შემსრულებელი ომარ კელაპტრიშვილი, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აჯადოებდა მსმენელს თავისი მაღალი ოსტატობით, მისი მოღვაწეობა სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებაში, მან საოცრად გაამრავალა ფეროვნა ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკა, დაუბრუნა რა მივიწყებულ ხალხურ ინსტრუმენტებს მათი ადგილი და როლი ქართველი კაცის ცხოვრებაში. იგი გახდა ახალი ეპოქის შემქმნელი და დამკვიდრებელი ხალხურ ინსტრუმენტულ ხელოვნებაში. სალამური და დუდუკი კლასიკური ინსტრუმენტებად აქცია, არაერთი კლასიკური ნაწარმოები შექმნა და შეასრულა მათზე.

მან პირველმა საქართველოს ისტორიაში ხალხური საკრავები აიყვანა უმაღლეს საშემსრულებლო დონეზე და მთელ მსოფლიოს გააცნო და შეაყვარა ჩვენი ქვეყანა. ტრიუმფალური, ფანტასტიკური, ლეგენდარული, გენიალური – ასეთ შეფასებას აძლევდა მსოფლიო პრესა. ანსამბლ “რუსთავში” მოღვაწეობისას გაიშალა მისი უზადო ნიჭი, დაიხვეწა საშემსრულებლო ხელოვნება. ომარი გახლდათ უადრესად უბრალო, თავმდაბალი ადამიანი, არასოდეს უცდია საგანგებოდ გამოეჩინა თავი, არც მაშინ, როცა მისი ოსტატობით აღტაცებული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსმენელი, ფეხზე ადგომით უკრავდა ტაშს და არც მაშინ, როცა მსოფლიოს პრესა მხოლოდ ვირტუოზის სახელით ამკობდა ქართველ ხელოვანს. დიდი იყო მუსიკოსის მომთხოვნა საკუთარი თავისადმი, ჭეშმარიტი პროფესიონალი ყოველგვარი ამბიციებისა და

თვითრეკლამის გარეშე ემსახურებოდა დიდ ხელოვნებას.

კონცერტებზე ყოველთვის ჟღერდა ხალხური მუსიკის ნამდვილი ნიმუშები, ომარმა შეუნარჩუნა მათ თავდაპირველი ავთენტური ჟღერადობა, გადაარჩინა საესტრადო სტილიზაციას, რითაც დააფუძნა სცენაზე ქართული, ხალხური საკრავიერი. სისადავე და მაღალი გემოვნება – აი ის თვისებები, რომლებიც იქცა მისი საშემსრულებლო სტილის ძირითად პრინციპად – რამაც შექმნა კელაპტრიშვილისეული ფენომენი. მაყურებლის, მსმენელის მეხსიერებაში იგი გემოვნებასთან, ბგერების ფერთა ფოიერვეკთან დარჩა დაკავშირებული. უდიდესია ომარ კელაპტრიშვილის წვლილი ქართულ-ხალხურ საკრავთა ხუთწლიანი სკოლა-სტუდიის დაარსებაში ბავშვთა განათლების მხატვრული აღზრდის სახელში. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი საქართველოს რადიო-ტელევიზიის ხალხურ საკრავთა ორკესტრის და ანსამბლ “იავნანას” დაარსებაში, სადაც ის თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებს გადასცემდა. მან თაობები გაზარდა, თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე კიდევ უფრო მეტს ხალხური მუსიკის, საკრავების სიყვარულს უწერდა მათ.

ომარ კელაპტრიშვილი უანგაროდ ემსახურებოდა ქართველ ხალხს და უდიდესი წვლილი შეიტანა ეროვნული ინსტრუმენტული კულტურის განვითარებაში. მისი შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებები ფირზე აღბეჭდილი კვლავ ურიცხვ მსმენელს განაცვიფრებს მომავალში. გავა წლები, უამრავი ახალგაზრდა დაუკრავს ხალხურ საკრავებზე, მისი მოსმენისას ქართველი კაცი იტყვის: “აი, ეს ის პანგია, ომარ კელაპტრიშვილის ნიჭი რომ გამოსცემდა”.

2007 წელს დიდი ხელოვანის სსოვნის უკვდავსაყოფად დედაქალაქში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მისსავე სახელობის სკვერში, მარმარილოს კედელზე განთავსდა მუსიკოსის მარჯვენა ხელის მტევანი სალამურით ხელში.

კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრის წინ აღმართულია მისი

ბიუსტი. თეატრის, კინოს, მუსიკის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის (დირექტორი გიორგი კალანდია) უკვდავთა ბაღში დაიდგა ხელოვანის ბიუსტი. თბილისში, კასპში დაარსდა ო. კელაპტრიშვილის სახელობის ქუჩე-ცხოვრობდა, განთავსებულია მემორიალური დაფა, მისი ბრინჯაოს ბარელიეფით. მრავალი წელია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ კავთისხევში, ფუნქციონირებს ომარ კელაპტრიშვილის სახელმუზეუმი.

2023 წლის 2 ივლისი გახდა განსაკუთრებული მოვლენა ომარ კელაპტრიშვილის სახელმუზეუმის ისტორიაში, გაიმართა მუსიკოსის 80 წლის იუბილე, გარდაცვალების და სახელმუზეუმის დაარსების 30 წელი. უამრავი სტუმარი დაესწრო საიუბილეო ღონისძიებას. დედაქალაქიდან ჩამოვიდნენ ომარის დაარსებული ანსამბლები: “კელაპტარი”, კვინტეტი “ურთული”, კვარტეტი “ქესანე”, ინდივიდუალური შემსრულებლები, ომარის გაზრდილი მუსიკოსები, რომლებიც დღესაც დიდი წარმატებით აგრძელებენ ომარ კელაპტრიშვილის დაწყებულ დიდ ეროვნულ საქმეს – საგასტროლოდ მოგზაურობენ მთელ მსოფლიოში და ხალხური ინსტრუმენტების სიდიადეს და სილამაზეს აზიარებენ

დედამიწის ცივილიზაციის გასაცნობად. რამინ მიქაბერიძემ ტკივილით, სიყვარულით გაიხსენა თავისი ახლო მეგობარი ომარ კელაპტრიშვილი, რომელთანაც გაატარა ბოლო გასტროლი ინგლისში, სასტუმროს 402-ე ნომერში. მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს ინსტრუმენტალისტებმა დავით ქავთარაძემ, თამაზ მამალაძემ, დავით რატიანამ, ზვირა ლუთისაშვილმა, ალექო ხიზანიშვილმა.



ვილმა. ქართული ხალხური სიმღერის უბადლო შემსრულებლებმა: ლელა ხუნწარიამ, ლელა თათარაიძემ, იზოლდა ფიფიამ, ანა ბაჯიაშვილმა, რომელსაც ომარი “ქალების ჰამლეტ გონაშვილად” მოიხსენიებდა, ექვსი წელი ეტებდა ომარი ასეთი მომღერლების ხმებს, დააარსა ანსამბლი “იავნანა”, რომელის ანალოგი არ

მუზეუმში გატარებული, ანზორს თავისი ოთახიც ჰქონდა მის სახლში...

იუბილე გახსნა და დაასრულა კასპის ფოლკლორულმა ანსამბლმა “მოურავმა”. იუბილე შესანიშნავად, აკადემურად წაიყვანა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა თეა

ლონისძიების სიურპრიზი იყო წიგნის “ქართული სალამურით დაპყრობილი მსოფლიო” პრეზენტაცია, რომელიც შეადგინა მისმა მეუღლემ ციმბი და უმცროსმა ომარ კელაპტრიშვილებმა. ნაშვარდა ომარი, მრავალი დღე და ღამე აქვს მის სახლ-

მეუღლემ, იგი ოთხი წელი მუშაობდა წიგნზე, მასში დაიხატა მუსიკოსის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი პორტრეტი, განვილი გზა, ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები, ქართველი და უცხოელი კორიფეების შეფასებები, რას წერდა მსოფლიო პრესა ომარ კელაპტრიშვილის უბადლო შემოქმედებაზე, მოგონებები, ხელოვანის შექმნილი ლექსები, მისდამი მიძღვნილი ლექსები, წიგნში განთავსებულია ქართულ და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი წერილები, მუსიკოსის სახალისო ისტორიები, წიგნს ახლავს ფოტომასალა, რომელიც უკვე ისტორიის კუთვნილებაა. წიგნის გაცნობით მკითხველი სიამაყით აღივსება ამ ჭეშმარიტად ქართულ ფენომენზე.

სალამოს ესწრებოდნენ: პარტია “ქართული ოცნების” თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე თავისი ოჯახით, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე აბიკო აბესაძე, პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მეზურნიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.



ათასობით მსმენელს. დამსწრე საზოგადოება აღტაცებით შეხვდა ანსამბლ “რუსთავის” სოლისტს, ხალხური სიმღერის კორიფეს რამინ მიქაბერიძეს, რომელიც საქართველოს ბუღბუღთან, ჰამლეტ გონაშვილთან დუეტში აჯადოებდა უცხოელ მაყურებელს თავისი უძლიერესი ხმით. აღსანიშნავია, რომ რამინ მიქაბერიძის ხმა ისმის სიმღერა “ჩაკრულოში”, რომელიც გაიგზავნა კოსმოსში

არსებობდა საქართველოში. აღფრთოვანებული ომარ კელაპტრიშვილი ამბობდა: “ახალი სიცოცხლე დაიწყო ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში. იუბილეს ესწრებოდა ანზორ ერქომაიშვილის (დიდი ლოტბარი, მოღვაწე, სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ “რუსთავის” დამაარსებელი, სამხატვრო ხელოვნების მუშაველი) მეუღლე, მუსიკათმცოდნე ლალი სეთურიძე, მან აღნიშნა, რომ ანზორზე ადრე იცნობდა

ხორბალაძემ. მაღლობა მას გაწეული თანადგომისათვის. ხმის რეჟისორი გახლდათ მიხეილ ქოსაშვილი.

იუბილე დასაწყისში დამსწრე საზოგადოებას მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ვახტანგ მაისურაძე. მან ისაუბრა იმ მნიშვნელოვან მემკვიდრეობაზე, რომელიც ომარ კელაპტრიშვილმა დაუტოვა თავის ქვეყანას.

ქასპის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღები აშენდება სხრა სოფელში: ოკამი, ლამისყანა, ფარაბა, მებანი, ქვემო გომი, ახალქალაქი, ახალსინა, კავთისხევი და თვალადი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიაშვილის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ქვეყნის მასშტაბით წლებგანდღიდან ფართო სამშენებლო პროექტი განხორციელდება. ის მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს და ითვალისწინებს ბევრ დიდ-პატარა ქალაქსა და ცალკეულ სოფლებში საბავშვო ბაღების აშენებას, სადაც კი საამისო საჭიროება და აუცილებლობა დგას დღის წესრიგში. შთამბეჭდავია საერთო რაოდენობა სკოლაშვილი აღზრდის დაწესებულებებისა – 885!

აი, ესოდენ ვრცელი პროგრამის ფარგლებში მოიაზრება, რომ ქასპის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღები აშენდეს ცხრა სოფელში: ოკამში, ლამისყანაში, ფარაბაში, მებანში, ქვემო გომში, ახალქალაქში, ახალსინაში, კავთისხევსა და თვალადში.

მუნიციპალიტეტში ამჟამად 28 საბავშვო ბაღი მოქმედებს: 5 – ქ. ქასპის მასშტაბით და 23 – 21 სოფელში (მეტეხსა და ახალქალაქში ორ-ორია). დავაზუსტებთ: ზემოთ ჩამოთვლილი სოფლებიდან ბაღები ყველაგანაა, გარდა ერთისა – თვალადისა.

ქვემოთ შემოგთავაზებთ ერთგვარ განმარტავად მდებარეობას ზოგიერთი ტერიტორიული ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით, ისტორიული რაკურსის მოშველიებით:

★ სოფელი თვალადი

თვალადი კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელია, ოდითგანვე ითვლება ქართული საგანმანათლებლო და სასკოლო-სასწავლო სასოფლო კერების ადგილსამყოფელად. ცხვედაძეთა გვარის კაცებმა აქ პირველი დაწესებითი სკოლა ზუსტად 100 წლის წინათ – 1921-23 წლებში – გახსნეს. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სოფელში დაარსდა რვაწლიანი (1964 წ.) და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო (1990) სკოლებიც.

აი, სკოლაშვილი ასაკის მოზარდი თაობისათვის განკუთვნილი სადამზრდელი დაწესებულება კი თვალადში აქამდე არ ყოფილა. თვალადელ მშობლებს პატარები ახლა დაყავთ მეზობელი სოფლის – ეზატის საბავშვო ბაღში (რაც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული).

ქასპის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა კავთისხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მიხეილ კელაპტრიშვილმა განმარტა, რომ სოფელ თვალადში ბაღის არსებობა განპირობებულია მოზარდთა ასაკობრივი კატეგორიის სიმრავლით. ნიშანდობლივია ერთიც: ბაღის აშენება დაგეგმილია სოფლის საჯარო სკოლის მახლობლად. სადღეისო მოთხოვნების დონის შესაფერისი მისი შენობა კი სოფელში ახლახან, ექვსი წლის წინ, ჩადგა მწყობრში.

დიახ, ღრმად სიმბოლურია, რომ თვალადში საუკუნის წინათ, სახალხო განათლების საჭიროებით დაინტერესებული კერძო მოქალაქეთა ბინაში გახსნილი საბავშვო ბაღი, ამიერიდან გადაიქცევა კომპლექსურ სივრცედ, სკოლისა და ბაღის ტერიტორიული მეზობლობის სახით.

რწმუნებულისავე ინფორმაციით, გადაწყვეტილია, ასევე, სოფელ კავთისხევში (ციხის უბანში) არსებული საბავშვო ბაღის ამორტიზებული შენობის დემონტაჟი და მის ადგილზე ახლის აშენება.

ცნობისათვის: კავთისხევში საბავშვო ბაღი 1953 წელს დაარსდა ე. წ. “შეგუებულ” შენობაში (გახსნის ინიციატორი იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქალბატონი სუსანა მჭედლიშვილი), ხოლო 1977 წელს პატარა კავთისხეველებისათვის აშენდა “ტიპური”. 1991 წლიდან საბავშვო ბავშვებს ხელმძღვანელობდა ყოფილი აღმზრდელი ნანა ფირანიშვილი. მას მხარში ედგნენ აღმზრდელები: ნელი გზირიშვილი, მერი

მარჯანიძე, გულიკო შაყულაშვილი, ლია დევსურაშვილი. ჩვეული ენერგიით განაგრძობდნენ მუშაობას და პატარებს ზრუნვასა და სითბოს არც დანარჩენი მუშაკები აკლებდნენ, მათ შორის: მაყვალა ნონიკაშვილი, რუსუდან ხომასურიძე, ლია და დალი ჯანჯალაშვილები, მთვარისა იაშვილი, ეთერი მაისურაძე, ციცო ქვრივიშვილი...

★ სოფელი ახალქალაქი

ზემოთ როგორც ითქვა, სოფელში ორი საბავშვო ბაღია. გათვალისწინებულია რიგითი ნუმერაციით მეორის შენობის განახლება.

იგი დაარსდა 1957 წელს (ვართან დავიდოვის ბინაში), ერთი სადამზრდელი ჯგუფით. მისი პირველი გამგე იყო მარიამ ლეჟავა (განათლებით ფარმაცევტი). 1970 წლიდან ბაღმა მუშაობა გააგრძელა ვინმე ტუსოევის ბინაში.

1980 წელს მის გამგედ დაინიშნა ბაღისავე მედლა სათენიკოზალოვი, ხოლო 1985-ში – ანჟა კავთიაშვილი (სპეციალობით პედაგოგი).

1986 წელს საბავშვო ბაგას დაემატა ერთი სადამზრდელი ჯგუფი, ბაღის ასაკის აღსაზრდელელები და იქიდან იწოდებოდა “საბავშვო ბავშვთა ბაღი”. 1994 წელს კი ბაგის ახალი ჯგუფი გაუქმდა და 1998 წლის ივლისამდე ერქვა “ახალქალაქის №2 საბავშვო ბაღი”.

(ცნობისათვის: ახალქალაქის მეორე საბავშვო ბაღის წარსულისა და დღევანდლობის შესახებ უფრო ვრცლად მოთხრობილია გაზეთ “ახალი განთიადის” 2022 წლის სექტემბრის ნომერში).

★ სოფელი ახალციხე

პირველი ბავშვთა ბაღი დაარსდა 1973 წელს დაასდა. ის გაიხსნა იმდროინდელი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინიციატივით და განთავსდა აქაური

კოლმეურნეობის კანტორის შენობაში. სამი წლის შემდეგ გადავიდა სოფლის სკოლის გამოთავისუფლებულ შენობაში. მალე ბაგა გადაკეთდა ბავშვთა ბაგად, ხოლო 1988 წლიდან, ჯგუფის შეკმევის გამო, გახდა ბაღი.

1973-74 წლებში ბაგის პირველი გამგე იყო მანანა სულუაშვილი (საშუალო-სპეციალური განათლებით, მედლა), პირველი აღმზრდელელები – დალი ნუგზარიშვილი (1973-76) და მარგალიტა თოიძე (1973-80). შემდეგი გამგეები იყვნენ: მარიამ მამასახლისოვი (1974-80, იზოლდა მეზურნიშვილი-წიკლაური (1980-88), რუსუდან ჯამბურიძე (1988-89), თამარ სვანიშვილი (1990-დან), შემდეგ – მ. დარბაიშვილი...

★ სოფელი ლამისყანა

სოფელ ლამისყანის საბავშვო ბაღი დაარსდა 1973 წელს, რაიონული განათლების განყოფილების ინიციატივით. “შეგუებულ” შენობაში განთავსებული ბაღი განკუთვნილი იყო საბაღე ორი ჯგუფის აღსაზრდელთათვის (გამგე – ლიანა ჩერქეზიშვილი).

აღსაზრდელთა კონტინგენტის მატების გამო 1987 წელს საბავშვო ბაღი გადატანილი იქნა სოფლის ცენტრში, “ტიპიური” შენობაში, რომელიც ააშენა განათლების სამინისტრომ. ამავე წელს დაემატა ჯერ უფროსი, ხოლო შემდეგ უმცროსი ჯგუფები და გადაკეთდა 4-ჯგუფიან საბავშვო ბავშვთა ბაგად.

ამჟამად (1996 წ.) საბავშვო ბავშვთა ბაღის გამგედ მუშაობს მარიამ მთიულიშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის პუშკინის სახელმწიფო ინსტიტუტი; აღმზრდელელები: ნინო კასაბური, ლალი ბენიშვილი და ტურფა ქენქაძე; მუსიკის მასწავლებლად – ანა იმერლიშვილი; მედლა – ლია ფალაშვილი, მხედ – ნანი იმერლიშვილი, უფროს მზარეულად – ლიანა ალაჯანაშვილი, მის თანამშემედ – ეთერი წიკლაური, მრეცხავად – ნათელა ცუცუნაშვილი, აღმზრდელის თანამშემედ – სვეტა ჭიხინაშვილი, დამხმარე ბენიშვილი, დამხმარე მუშად – ციური ციციავი, დარაჯებად – გულო ოს-

იშვილი და გივი დავითური.

★ სოფელი მეტეხი

სოფელში საბავშვო ბაღი შეიქმნა 1935 წელს ქასპის ყოფილი რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით და დაექვემდებარა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს.

საბავშვო ბაღი მოთავსდა სოფელში რევიოლუციამდე მცხოვრები ახნაურული წოდების მქონე (თუხარლების) ჩამორთმეულ საცხოვრებელ ბინაში. ის შედგებოდა სამი ოთახის, პატარა სასაწყობო ოთახისა და დერეფნისაგან, რომელთა საერთო ფართობი 102 კვადრატული მეტრია, ხოლო ეზონი – 0,08 ჰექტარი.

ათწლეულების განმავლობაში (1995 წლის მაისამდე, როცა ეს ისტორიული ცნობა შედგა ქასპის რაიონის განათლების განყოფილების სახელზე) შენობას არ ჩატარებია ძირითადი მნიშვნელობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. 1990 წლამდე აქ ყოველწლიურად ტარდებოდა მხოლოდ მიმდინარე ხასიათის სარემონტო სამუშაოები და ასე, რამდენადმე, აკმაყოფილებდა საბავშვო ბაღის მოთხოვნებს.

1965 წლამდე საბავშვო ბაღი მოქმედებდა ერთ ჯგუფზე, ხოლო შემდეგ – ორზე.

საინტერესოა, რომ სოფლის საბავშვო ბაღში გაატარეს ბავშვობა მეტეხის საშუალო სკოლის პედაგოგთა დიდმა ნაწილმა, საშენი მასალების კომბინატის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის უმრავლესობამ.

საბავშვო ბაღის გამგედ 1935-41 წლებში მუშაობდა ქ. თბილისიდან ჩამოსული ქეთევან ახვლედიანი, 1941-67 წლებში – ეკატერინე ჭეჭელაშვილი, ხოლო 1967-91 წლებში გამგეობდა ლუბა ბარნაბიშვილი.

1995 წლისათვის ბაღის გამგედ მუშაობდა ნელი ჩაღუნელი, ხოლო აღმზრდელელებად: ეთერი მამულაშვილი და ზიგუნი კვალიაშვილი, ტექპერსონალში – მანანა ნაცვალაშვილი, სონია ერუქიძე, ჟანა ბარნაბიშვილი, ნაირა ახლოური, თამარ დავითაშვილი და მერაბ დარჩიაშვილი.

★ სოფელი ოკამი

სოფელში საბავშვო ბაღი 1960 წელს გაიხსნა. ამ საშვილიშვილო საქმის მოთავე იყო იმდროინდელი ოკამის საბჭოთა მუერნობის დირექტორი აკაკი ქაჯაია. გამგედ დაინიშნა თამარ ტერტეროვა. უფროსი ასაკის აღსაზრდელთა ჯგუფში მუშაობდა მერი კინაველიძე, ხოლო უმცროსებისა – ეთერი გამხიტაშვილი. ეს უკანასკნელი 1966 წლიდან გამგედ დაინიშნა, ხოლო ჯგუფში ჩაანაცვლა ნარგიზა ჩიტაშვილი.

ამ პერიოდის აღმზრდელელებად და თანამშემედებად მუშაობდნენ (ერთმანეთის მონაცვლეული მეტრია, ხოლო ეზონი – 0,08 ჰექტარი). ნინა შუკაკიძე, მარინე თამაზაშვილი, მეგი შუკაკიძე, ნაზი პატაშვილი, მარინე პაპაშვილი, ლიანა ყორბე-საშვილი.

1994 წლიდან შემცირდა ერთი ჯგუფი და ე. წ. “შერეული” ჯგუფით ბაღი დაექვემდებარა განათლების სისტემას. ამ დროს მუერნობის დირექტორი იყო მერაბ შერმა-დინი.

წარმოდგენილ ლა-კონურ ცნობებში მოცემულია ისტორიული ხასიათის ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში საბავშვო ბაღების დაარსებიდან მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის პერიოდამდე. ეს ცნობები შედგენილია სწორედ გასული საუკუნის 90-ანი წლების ბოლოს, ქასპის რაიონის იმდროინდელი განათლების განყოფილების (გამგე ავთანდილ ჯალაღი) ინიციატივით...

არსებული ისტორია, აუცილებელია უნდა გაგრძელდეს მიმდინარე საუკუნის აწ გასული ორო ათწლეულის ფაქტებით, რაც ყველა ამ ბაღის ამჟამინდელი ხელმძღვანელების დაინტერესების სფეროს განეკუთვნება...

სულ მალე, ერთ-ორ წელში, როცა ამ სოფლებში მწყობრში ჩადგება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აგებული, საბავშვო ბაღები, მათ არსებობის ისტორიაში მომავლის ფურცლები გადაიშლება.

ჰოდა, გავაგრძელოთ ჩვენი ბაღების ისტორია!

ათინის თქვენივენი

ქ. ათენი (საბერძნეთი), საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი "დიონისე - 2023": სხვადასხვა ქვეყნის თეატრებს შორის მონაწილეობა კაპსის საყმაწვილო თეატრი "ფარდის მიღმა" (ხელმძღვანელი ეკატერინე ქერივიშვილი), რომელიც არსებობს ერთ წელს ითვლის. წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი "სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება". თეატრი საქართველოში გამარჯვებული დაბრუნდა: ჟიური გამარჯვებულად აღიარა 2 ნომინაციაში: "საუკეთესო სპექტაკლი" და "საუკეთესო მუსიკა". ამასთან, პერსონალური ჯილდო მიიღო სპექტაკლში მონაწილე გოგონამ სალომე გერიტიშვილმა, ყველას კი გადაეცა საპატიო სიგელები.

გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ ფესტივალის ორგანიზატორს, ქალბატონ თაქო სამხარაძეს - ფესტივალზე მიწვევისათვის, ასევე, საბერძნეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს. გან-

საკუთრებული მადლობა კი ქალბატონ ლიგია მუშუდიანს. (კაპსის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე).

ეს ინფორმაციული ხასიათის სახელმძღვანელო წიგნი იგნისის ბოლოს გამოქვეყნდა სოციალურ ქსელში. ათენური საგასტროლო და საფესტივალო შთაბეჭდილებების შესახებ ქვემოთ მოგვითხრობენ:

✦ ეკატერინე ქერივიშვილი - კაპსის საყმაწვილო თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი

- "ფარდის მიღმა" - მართლაც, რა ხდება თეატრალური სცენის ფარდის მიღმა: კულისებში, ფოიეში, სარეპეტიციო ოთახში, თვით მაყურებელთა დარბაზში (გაჩნია, ფარდის რომელი მხრიდან უჭვრეტთ თეატრს, როგორც მაგნიტური მიზიდულობის ათვლის წერტილს).

ჩვენი "ფარდის მიღმა" - საყ-

მაწვილო თეატრი ერთგვარად სიმბოლური სახელწოდებით - 2022 წლის მაისში დაარსდა. დიახ, "სცენის მტკვრის ჩაყლაპვა" ათეულობით გოგობიჭმა მოისურვა. აბა, უარს როგორ ვეტყვოდით, ყველა დავიტოვეთ. რეპეტიციები შემოდგომამდე გაგრძელდა, ნოემბერში მზად გვქონდა ვაჟა-ფშაველას კლასიკური ნაწარმოების მოტივებზე დაფუძნებული სპექტაკლი "სამშობლოს არვის წავართმევთ"... აი, 10 დეკემბერს კი სადებიუტო წარმოდგენა გავმართეთ კაპსის კულტურის ცენტრის სცენაზე. 2023 წლის განმავლობაში ის აქვე რამდენჯერმე ვითამაშეთ, საჩვენებელი გამოსვლები გვქონდა ქვემო ქართლის ქალაქებსა და სკოლებში. მოხდა ისე, რომ ამის თაობაზე სოციალურ ქსელში გასული ამბებით დაინტერესდა უცხოეთში (კერძოდ, საბერძნეთში) მყოფი ემიგრაციის ნაცნობი ჯგუფი. აგერ, ქალბატონი ლიგია მუშუდიანი ქ.

ათენში ცხოვრობს და იქ, ელადის მიწაზე, ქართული კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია. თაქო სამხარაძე კი ის ქალბატონია, ვინც დასს სპეციალური მოპატიჟება გამოუგზავნა და ათენში მიიწვია ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

ფესტივალის "დიონისე" ახალდაარსებული დათვალეობაა. ცხადია, ქართული შემოქმედებითი კოლექტივები, არა მარტო საბავშვო, აქამდე გამოიწვევს ათენში საფესტივალო ნამუშევრები წარმოადგინეს, მაგალითად, შვეიცარიელმა თეატრალურმა, თვითონ საბერძნეთიდან - რამდენიმე თეატრმა. საქართველოდან, ასევე, სტუმრობდა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრი "მოდინახე".

"დიონისე - 2023" - ში მიწვევა ჩვენი დასისათვის, რათქმა უნდა, დიდი გამოწვევა იყო, ზოგი ახალბედა კოლექტივი, ალბათ, ვერც კი გაე-

დავდა დაძაბული სარეპეტიციო-სასწავლო მუშაობის წლისთავზე, უცხოეთში ჩვენდარად გაბედული ნაბიჯის გადადგმას. "ფარდის მიღმა" დასის წევრებიდან ყველაზე უფროსი ასაკით გახლავთ 18 წლის ოთარ გოდერძიშვილი, ხოლო უმცროსები - 13 წლის ტყუბი და, თეკლა და ნუცა ბუქურები.

საფესტივალო ჯგუფი 13 ახალგაზრდით დაკომპლექტდა. აი, ისინი (ხემათ დასახელებულთა გარდა): ნანკა გუჯეჯიანი, თაქო გოგიაშვილი, მარიამ მეზურინიშვილი, ნინო ქურდაძე, მარიამ ქაშხაძე, ბექა ლაფერაშვილი, რომა ხუაია, ანა ჯიჩოშვილი, სალომე გვრიტიშვილი და თიკა ამირეზაშვილი.

... კასპიდან 19 ივნისს გავეგზავრეთ კომფორტული ავტობუსით და ათენამდე ორდღუნახევარი მოვანდომეთ, მთელი გზა საოცარი თავგადასავლებითა და სანახაობათა სიჭრელით დაგვამახსოვრდა. თვითონ კასპიდან გაცილებით ავივსეთ შთაბეჭდილებებით: დასის

გზის დასალოცავად ვინდა არ მოვიდა: მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები (მერი ვანტანგ მისურაძე და მისი მოადგილე ზურაბ კიპაძე), მშობლები, მეგობრები, კულტურის ცენტრის კოლექტივი, თითქმის მთელი კასპი... სულ დროშების ფრიალფრიალით წავედით მშობლიური ქალაქიდან, საბერძნეთის დედაქალაქამდე გასავლელი გზა კი აღმოჩნდა ერთი გრძელი საოცრება, რომელიც ბოლოს კი დასრულდა, მაგრამ იქ დაიწყო, რაც დაიწყო: ელადის მიწაზე, ძალიან გულთბილად შეგვეგზავნენ, იყო მონატრებული ქართველთა ცრემლი და სიხარული, აღტაცება... (სხვათა შორის, ამ ყველაფერს აფიქსირებდა კინორეჟისორი ბესო სოლომონაშვილი, რომელიც დოკუმენტურ ფილმს მოამზადებს "ფარდის მიღმა" ათენურ გასტროლზე)... დამხედურთა გულებიდან

წამოსული მუხტი ჩვენც გადმოგველო და ათენის სასტუმროში ბინამიჩენილებს, დაღლილობის მიუხედავად, აბა, ნომერში რა გაგვანერებდა, ქალაქში გავედით. შეღამებულზე უკვე განათებული მოედანზე, ღია ცისქვეშ, რეპეტიცია წამოვიწყეთ, უმაღლესად მაყურებელთა ზღვა, გარშემო კი მოლულუნე მტრედების ჯგუფი გვივლიდა და სამშვიდობოდ, საკეთილოდ დაგველუნებდა...

საფესტივალო თეატრის სცენა საძლიანი პროგრამით იყო დატვირთული და ყოველდღე ორ-ორი წარმოდგენა იმართებოდა. ჩვენ მერე დღე დავავითმეს. ცხადია, დასის ყველა წევრმა ყველაფერი გაიღო, რომ ნახევარსაათიანი სპექტაკლის ერთიანობა უმნიშვნელო ზადითა და ნაკლითაც კი არ დარღვეულიყო. დიდი, დიდი მადლობა ჩემს გოგო-ბიჭებს. ფესტივალის ორგანიზატორები გვ.

24 ივნისს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა, კაპსის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილის ზურაბ კოპაძის, კულტურისა და სხვა ელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ლალი ჯანჯალაშვილის და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერის ლელა პეტრიანაშვილის ხელშეწყობითა და თანადგომით, მოსწავლეები პედაგოგებთან ერთად გაემართნენ შინდისში, დაღუპული გმირების ხსოვნისადმი პატივის მისაგებად, ვარიანში - იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმისა და სერგი მაკალათიას გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დასათვალიერებლად.

ლიახვის ხეობაში გაშლილი ომგამოვლილი სოფლები მწვანედ ბიბინებდა, სიცოცხლე გრძელდებოდა და ხარობდა...

მალე გამოჩნდა შინდისში ცადაღმართული მონუმენტი გმირთა უკვდავებისა, საქართველოს თავისუფლებისა და გამარჯვებისაკენ სწრაფვის სიმბოლო.

ღონისძიების მონაწილეებმა ქართული დროშით კრძალვით შეაბიჯეს "შინდისის ბიჭების" სისხლით მორწყულ მიწაზე. მოსწავლეებმა: ნანა ილურიძემ, უჩა გოგოლაძემ, ბარბარე ჩარაძემ, ლიზი და ვიორგი ხუციშვილებმა, მარიამ კახიშვილმა, მარიამ ყაზარაშვილმა, ნინო გაბოშვილმა და მარიამ ჟივიძემ ყვავილებით შეამკეს მამული ისათვის თავდადებულთა სიმბოლური საფლავები. საამაყო, რომ ამ გმირთა შორის, ჩვენი თანარაიონელი, კაპრალი კახა კოშაძეცაა, მას "რკინის კაცად" მოიხსენიებენ.

ახალგაზრდებმა სანთლები დაუნთეს გმირებს, ქედი მოიხარეს და

პატრიოტული ლექსებით ხოტბა შეასხეს მამულიშვილებს. "არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს ღვინა", "გმირნო, მამულის მადიდნო...", "შშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ..." ახალთაობლებმა ფიცი დადეს გმირთა საფლავების წინაშე, რომ ღირსეულად გააგრძელებენ მათ მიერ გაკვალულ გზას და მუდამ იდგებიან სამშობლოს სადარაჯოზე.

შინდისიდან ვარიანში, იაკობის სახლ-მუზეუმში გადაინაცვლეს ახალგაზრდებმა, ქართული ენის მოამავისა და "დედაენის" ავტორის მიერ საკუთარ საცხოვრებელ სახლში მოწყობილმა საკლასო ოთახებმა, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდა გლეხის ბავშვებს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე. ინტერესით მოისმინეს გიდის საუბარი ი. გოგებაშ-

ვილის ღვაწლზე ქართველი ერის წინაშე, გაიხსენეს მისი სიტყვები, რომ ქართული ენა ბურჯია ეროვნებისა და მისი წახდენა ერის დაცემის ტოლფასია, როგორც ილია ბრძანებდა: "სამი ღვთაებრივი საუნჯე დავგრჩა მამაპაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება..." და აღნიშნეს, რომ მათი ვალია პირნათლად აღასრულონ დიდი წინაპრის ნაანდერძევი.

მოსწავლეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციების დათვალეობამ. მათ ყურადღებთ მოუსმინეს მუზეუმის დირექტორის თამილა კოროშიძეს, რომელმაც ვიზიტორებს დათვალეობა სხვადასხვა დარბაზში განთავსებული ეთნოგრაფიისა და სახვითი ხელოვნების ხელნაწერი,

„მშობლიური ჩემო მიწავ, ...“



პირველნაბეჭდი წიგნების, არქეოლოგიისა და ნუმისმატიკის უნიკალური ექსპონატები. ქალბატონმა თამილამ ისტორიის ლაბირინთებში ამოგზავნა და ამომწურავი პასუხები გასცა მოსწავლეების მიერ დასმულ კითხვებს.

ღონისძიება სამთავისის ტაძრის მოლოცვით დასრულ-

და, სადაც დაბრძანებულია ღირსი ისინი, რომლებსაც სამთავისისა და ღირსი თადეოზ სტეფანწმინდელის წმინდა ნაწილები.

მომავალში კვლავ ბევრი საინტერესო, შემეცნებითი მნიშვნელობის ღონისძიებაა დაგეგმილი, რომელიც ახალგაზრდებს ხელს შეუწყობს უფრო კარგად გაიცნონ სამშობ-

ლოს წარსული. მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობისა და სამთავისის წმინდების წმინდების წმინდა ნაწილებით ჩატარებისათვის მადლობას უხდინა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს და პედაგოგები ღონისძიების წარმატებით ჩატარებისათვის მადლობას უხდინა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს და მშვიდობიანი მგზავრობისათვის მძღოლს ჯაბო წიკლაურს.



მუნიციპალიტეტის მთავარი მოხელის და ბათუმელი

კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი მთიანეთის მუნიციპალიტეტის მთავარი მოხელის და ბათუმელი...

პირველობის გამარჯვებულის სახელი და მთავარი პრიზი დაიმსახურა მისმა ერთადერთმა მონაწილემ...

საუკეთესო ოთხეულში შევიდა.

წილები: ქ. სილნალი, 1 ივლისი - შოთა ბეჟაშვილის სახელობის პრიზი დაიმსახურა მისმა ერთადერთმა მონაწილემ...

კრივი: 5-9 ივლისი, ქ. გორი - გორის კანდელაკის სახელობის საერთაშორისო ტურნირი...

კ ა ს პ ე ლ მ ა
მოკრივემ გადაწყვეტილება მიიღო...

ქართული ჭიდაობა: ქ. ქარელი, 8 ივლისი - დურმიშხან და ზვიად ბერუაშვილების სახელობის ღია ტურნირი...

შეგახსენებთ, რომ გორის კაციაშვილი საქართველოს 2016 წლის აბსოლუტური ფალანგის ტიტულის მფლობელია.

ბოლო ორიოდე წელი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, იქ ჭიდაობა ძიუდოში პენსილვანიის შტატის ჩემპიონი გახდა...

ქარელიში, ასევე, გამარჯვებულის კვარცხლებზე შედგა მძიმე წონის ირაკლი დემეტრაშვილი...

აქვე შევინწავთ, რომ ჩემპიონის ოქროს ორ მედალს, კასპელთა გარდა, ვერავენ შეწვდა, თვითონ ქარელიელებს ერთი გაუჩემპიონდათ, ხოლო იქიდან თითო-თითო ოქროს მედალი წაიღეს...

კარატე: ქ. კასპი, 7 ივლისი - კასპის ტაეკვონდოსა და კარატე-დოს კლუბის კარატე-დოს კლუბის ნორჩი სპორტსმენებისათვის სემინარი ჩატარდა...

ქართული ჭიდაობა: 13 ივლისი, სოფელი სამთავისი - საქართველოს ფალანგის, ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიო მრავალგზის პრიზიორის ივანე (ვანო) გამხიტაშვილის დაბადებიდან 50-ე წლისთავს დაუკავშირდა...

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი) პატრონაჟით სოფელ სამთავისში, მისივე სახელობის საჭიდაო არენაზე იასპარეხეს 2007-09 წლებში დაბადებულმა მოჭიდავეებმა...

ს ა უ კ ე თ ე ს ო
სამეულები ასე გამოიყურება:
50 კილოგრამი: გორის კაპანაძე (ქარელი), საბა ჩინჩალაძე (ხაშური) და თემურ გრიგორიანი (კასპი);

55: ალექო ხიზამბარელი (კასპი), ლუკა მღებრიშვილი (კასპი) და ბესო სამსიანი (თეთრი წყარო);

60: თორნიკე გორჯოლაძე (კასპი), გორგი ბაბუციძე (გორი) და ბესო სამსიანი (თეთრი წყარო);

+66 კილოგრამი: გორგი გელაშვილი (ხაშური), ჰამლეტ დავლაშვილი (ქარელი) და თემურ გრიგორიანი (ქარელი).

ჩემპიონ-პრიზიორებს გადაეცათ მედლები, დიპლომები და ფულადი ვაუჩერები. ისინი მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და მისმა მოადგილემ ზურაბ კობახიძემ, მსოფლიო ჩემპიონებმა ჭიდაობა სამბოში ჯონდო მუზაშვილმა და ბადრი ჯანიაშვილმა, შიდა ქართლის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა იოსებ მამულაშვილმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის სპორტკაერთიანების უფროსმა ვია ბერუაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ შმაგი ბეგლარაშვილმა და აპარატის უფროსმა ზურაბ ჩიტაშვილმა, საქართველოს ორგზის ფალანგმა ოთარ ყურაშვილმა.

15 ივლისი, სოფელი ნოსტე - ისტორიულ სოფელში ქართული სულიერებისა და სპორტის ჭეშმარიტი დღესასწაული გაიმართა - ჭაბუკთა გუნდური პირველობა. აქ თითქოს ერთდროულად გაცოცხლდა ჟამთაბერის კრიალიოსანი: წ-არსული, ა-წმყო, მ-ომავალი, ო-მედი!
სააკაძეთა საგვარეულო რამდენიმე საუკუნოვანი ნამოსახლარისა და "დიდი მოურავის" ექვსსართულიანი კოშკის მიდამოში კვლავდაკვლავ გაეწყო საჭიდაო წრე. აი, "ტორტიგორას" სიმალიდან მონაბერი ქარი და ცის ტატნობიდან გადმოშობილი მწველი მზე კი კოცონს ავიზივებდნენ ჯერაც ნედლსუნთან ნახერხთან საჭიდაოზე და, თითქოს დიდი გორგის დამახილზე, ორთ-

აბრძოლებისათვის უფრო აქეზებდნენ საქართველოს მხარეებიდან შემოკრებილ ტალიკტალიკა მორკინალებს, მოილეთებებსა და ხერხიანებს...

გასული საუკუნის 80-ან წლებში "საკაძის თასზე" ხშირად იმართებოდა ქართული ჭიდაობის ასპარეზობანი შიდა სარაიონო მასშტაბით, სოფლებისა თუ ხეობების ძველი და ადრეობითი დღესასწაულების ("გოსტიბობა", "პაატობა" და სხვ.) კულტურულ-საჩვენებელ პროგრამებში აუცილებლად მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ... და, აი, ნოსტეში, ახალდროების სიომ დაბერა, ჟამი დგება ახლებური!

მისასალმებელია, რომ სასოფლო ადგილებში ქართული ჭიდაობის მოწყობა-გამართვისათვის ახლებურ ფორმასა და გზას ძიობენ და ადგანან საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში (პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი) და მას, ესოდენ კეთილშობილურ განზრახვის აღსრულებაში, მხარს უზამენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპორტის სამსახურის თავკაცი, თავიანთი საქმიანი თანადგომითა და მხარდაჭერით.

საქართველოს ჭაბუკ მოჭიდავეთა გუნდური პირველობის სახეიმი გახსნის საკონცერტო პროგრამა წარმოადგინეს: კასპის კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა "მოურავმა" (ხელმძღვანელი ზურაბ ხითარძე) და სოფელ ალაიანის ბავშვთა მუსიკალურმა ანსამბლმა "თხოთმა" (ირაკლი ქაჭაშვილი). კათოლიკისხეობელმა მხედრებმა კი, ბაჩო და ვია ბელიძეების თავკაცობით, საცხენოსნო საჩვენებელი ლაშქრობა მოაწყვეს საკეთისხეოდან ნოსტემდე და ქართული დროშებიც კვლავინდებურად ააფრიალეს გორის სააკაძის ნოსტური კოშკის სასახლეში. ... აი, სახალხო გმირის სახელის საუკვავო შეჯიბრებაში კი საერთო, გუნდური, გამარჯვება გარეგნულმა მოჭიდავეებმა დაინარჩუნეს (საგარეჯოს ნაკრებმა). დაძაბულ საფინალო შეხვედრაში მათ გორელებს სძლიეს... (დასანანია, რომ კასპელთა გუნდს პირველივე შეხვედრაში მოეცარა ხელი).

სიონის თესვით

ვფიქრობ ჩვენებურ ემიგრანტებზე, ვინც იქ გვხვდებოდა, გვეხმაურებოდა, გვეფერებოდა, რაც ძალიან სასიამოვნო და გულისამაჩუყებელი იყო. მათაც, ყველას, დიდი მადლობა, რომ ჩვენთვის არა მარტო ემოციები გამოიმეტეს, არამედ ნაირგვარი საჩუქრებიც.

ნანკა გუჯეჯიანი – დასის წევრი: ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ბევრ სამასს-ოვროსთან ერთად, 24 ივნისი აღმოჩნდა, დღე, როცა სცენაზე დავდექით, მკაცრი ჟიური და გულისხმიერი ემიგრანტობა კი ჩვენგან ახლებურ სანახაობას მოელოდებოდა.

გავაწყეთ ინვენტარი, პარალელურად გავიარეთ მცირე რეპეტიცია, ემოციურად შევემზადეთ სპექტაკლისათვის, რათა ჩვენეული ემოცია მიგვეტანა, გვეგრძობინებინა მაყურებლისათვის, ჟიურისათვის, ეს ხომ დიდი ვაჟას შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაცოცხლების სადამო იყო... და ჩვენ ეს შევეძელით, ამნაირად მანამდე არსად გვითამაშია, დარბაზში მყოფთა გულები სხვანაირად ატყვავდა, იყო ბევრი ტაში და ცრემლი, ჟიურის წევრებიც კი ფეხზე წამოვიდგნენ, სხვა დასის წევრებიც გვილოცავდნენ.

ახლაც, გახსენებისას, სულ მელმება, ეს დღე ოქროს ასოებით შემორჩება ჩემს ცხოვრებას. იქ თბილისური თეატრის ახალგაზრდებიც გავიცანი, ერთად გავერთეთ და დავმეგობრდით, თავიანთი თეატრის სასაცილო ისტორიები მოგიყვანენ და შეგვაქვს, წაგვანახდის.

მთლიანობაში, ათენური შთაბეჭდილებები ერთ დიდ ამბად გარდაიხსნა და მას მომავალში იმ მოგონებად გავიხსენებთ, თეატრმა რომ გვაჩუქა, "თეატრალურ ზღაპარს" რომ დავარქმევდით.

(დასასრული). ზატორებმა ისინი საპატიო სიგელებით წაახალისეს. ჟიურის სპეციალური პრიზი ნომინაციაში "საუკეთესო სიმღერისათვის" მიეკუთვნა სალომე გვრიტიშვილს. საინტერესოა, რომ სპექტაკლის მუსიკალურმა საერთო გაფორმებამ ჟიურის უდიდესი მოწონება დაიმსახურა და ნომინაცია "საუკეთესო მუსიკისათვის" პრიზიც კასპელებს არგუნეს. ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენი დასის დიდ მეგობარსა და ლოტბარს – თეა ჯამრიშვილს, ქ. რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიულ-დრამატული თეატრის ლოტბარს.

... ათენის თეატრში ჩვენს წარმოდგენას უამრავი ცნობილი და გამოჩენილი პერსონა ესწრებოდა, დარბაზში იმყოფებოდნენ საბერძნეთში აკრედიტებული რამდენიმე ქვეყნის ელჩები, ასევე, პოეტები, მწერლები, ემიგრანტები... ვიღღობით მოგვრილი სიხარული ხომ საკმარისი იყო კასპელი გოგო-ბიჭების ბედნიერების ცაზე ასაყვანად და ახლა ემიგრანტთა მხრიდან წამოსული თბილი სიტყვები, გულში ჩახუტება და სუვენირები?! კეთილი სურვილებითა და უკეთესი მომავლის იმედით გამოგვიშვეს ფესტივალიდან, რომელიც სამი დღის განმავლობაში გემასპინძლობდა, გვმუხტავდა, შემოქმედებითად გვზრდიდა და უფრო გაბედული გვგვამბობდა. შეგვაძლავდა და უფრო გაბედული გვგვამბობდა.

ასე და ამგვარად, ჩაიარა ფესტივალი და თვის ბოლოს ისევ კასპში ვიყავით, რომელიც ორკვირაში ძალიან მონატრობდა ჩემს გოგო-ბიჭებს. აქ კიდევ ერთი სიურპრიზი გველოდა: გულთბილი შეხვედრა მოგვიწვეს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, ბატონმა ვახტანგ მაისურაძემ დასის წევრებს მოგვილოცა ათენური წარმატება, კეთილი სურვილებით დაგვხუნძლა და შემდგომი თანადგომა და მხარდაჭერა აღვითქვა.

დასის სამომავლო გეგმები? – სარეპერტუარო განახლების მონახაზშია კლასიკოსი დრამატურგის, აქვსენტი ცაგარლის "ხანუმა". არდადეგები, ფაქტიურად, არ გამოგვიცხადებია, რეპეტიციას უკვე შევუდექით.

მარიამ მეზურიშვილი – დასის წევრი: ჩემი ათენური შთაბეჭდილებების ყოველდღიური "სურათების" შესახებ სანამ რამეს ვიტყვი, პირველ რიგში მსურს, უღრმესი მადლობა ვუთხრა ჩემი სახელით საყვარელ ეკატერინე ქერივიშვილს იმ შესაძლებლობისათვის, ჩვენი თეატრის პირველ უცხოურ გასვლას რომ უკავშირდება და, ცხადია, პირადი ბედნიერებისა და ემოციებისათვის, გასტროლმა რომ მაჩუქა.

მეოთხე დღეს ყველა ერთად დავესწარი ფესტივალის საზეიმო დასურვას. იქ ჩვენ გვერვო უნიკალური პრიზი. კვლავ სასწაული გრძობა გაჩნდა, როცა გავიაზრე, რომ საქართველოში ამხელა წარმატებითა და გამარჯვებით მოვიარეთ. თანაც, რეპეტიცია გავმართეთ ათენის ულამაზეს და ვრცელ მოედანზე, რაც დაუვიწყარი იყო. აი, მესამე დღემ ნამდვილად გრანდიოზული ემოციები გვაჩუქა – ეს მოჰყვა ჩვენი სპექტაკლის ჩვენებას. ყველა ჩავიძირეთ ემოციების ზღვაში.

ქასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დანახაზულობის გაერთიანება

კასპელი მოყვარული ფეხბურთელების გუნდი "განთიადი" ახალშექმნილია. მისი სადავე გიგა ზარიძის ხელშია. გუნდის მენეჯერი იხსენებს, რომ პირველ შეჯიბრებაში "განთიადმა" მონაწილეობა შიდა საქალაქო შეჯიბრებაში 2021 წელს მიიღო და, დებიუტანტის კვალობაზე, ურიგოდ არ გამოსულა, ბევრი რომ არ მოელოდა, ფინალში გავიდა. მართალია, იქ "გენერალთან" დამარცხდა, მაგრამ ეს უკვე წარმატებას ნიშნავდა. აქედან დაიწყო ახალი გზა: 2022 წელს "განთიადმა" რეგიონის ჩემპიონობა მოიპოვა, 2023-ის დამდეგიდან კი ჩაერთო "მასტერლიგის" აღმოსავლეთ საქართველოს "მ" ჯგუფში (იქ გამარჯვებული და წინ გადასული "გენერლის" ადგილმონაცვლედ). ასეთი ჯგუფი

ოთხია, ანუ, სულ 40 გუნდი, თითოეულში 10-10. გუნდმა შეინარჩუნა პირველი ბირთვი: კაპიტნობს გიგა ზარიძე, კარს იცავს ნიკა კლერტაშვილი, მოედანზე გამოდის გიორგი გეჯაძე, გიორგი ქურთაული, ჯაბა შერმაღანი, შალვა ილიურიძე, სოსო გუგულაშვილი, ამირან თურქაძე, გიორგი ირემაშვილი. შემადგენლობაში ირიცხებიან უცხოელი (ნიგერელი) ფეხბურთელებიც: აზიმბოლა აგბენიგა, ელვინ ელეჯე ონელიკაჩი, შოლა ოლოკოია, ოკინაჩო ლიბერთი ჯუნიორი და ომამე კეჩიჩი ჩედრაკი.

საინტერესოა, რომ ამჟამად გეგუფში გამოდის დუშეთის "კოსმო". მეტიც, ის მასპინძლის როლშია. გათამაშება, სწორედ იქ, დუშეთის მშვენიერ მოედანზე, მიმდინარეობს და "კოსმოს" მართლა კოსმოსური სტარტი აქვს აღებულ, მანაც ყველა

თამაშში გაიმარჯვა და უმეტესობაში კარიც "შრალად" შეინახა. ამდენად, სათავეში ეს გუნდები მოექცნენ "მასტერლიგის" "ა" ჯგუფის ცხრილს 18-18 ქულით... საზაფხულო შესვენების შემდეგ მათ უშუალო შეხვედრაში ბევრი რამ გადაწყდება.

ამასობაში, სანამ პირველობაში ტაიმაუტია, გაცხარდა თბილისის მერიის თასის გათამაშების საწყისი ეტაპი. "განთიადი" იქ მეორე რაუნდიდან ჩაერთო. მისი მეტოქე იყო თბილისის "მასტერლიგის" მეორე ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი გუნდი "რეკონი" გათამაშების შემდეგ ეტაპზე "განთიადი" გავიდა, თამაშის ძირითადი დროის ფრედ დამთავრების (2:2) შემდეგ უკეთეს შესრულებული პენალტების წყალობით (3:1).

ინტელექტ-ჩემპიონატის ფინალი

საქართველოს მასშტაბით "ეტალონის" ინტელექტ ჩემპიონატის ფინალი გაიმართა. ფინალში საქართველოს 27 მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. ქასპის ეტალონი-მოსწავლის ღირსებას სასირეთის საჯარო სკოლის მე-10 კლასის



მოსწავლე ნია მუხომელია და მისი მასწავლებელი იცავდა, რომელმაც მე-4 ადგილი დაიკავა...

ია კარბარეთელის სახელობის საშუალო სკოლაში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქში, ია კარბარეთელის სახელობის საშუალო სკოლაში, ჩატარდა საჩვენებელი ღონისძიება "ფერადი დღეები". წარმოდგენილი იყო საშუალო სკოლის თეატრალური წრის (ხელმძღვანელი ლელა ალიმბარაშვილი) მოსწავლეების მხატვრული ოსტატობით წარმოებული ლექსები, თეატრალური ნომრები. მოსწავლეებმა წაიკითხეს ანა კალანდაძის, ვაჟა-ფშაველას, ნუნუ ჯანელიძის, შოთა ნიშნიანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ანზორ აბულაშვილის, მურმან ლებანიძის, ცისანა ბებრიშვილის, იაკობ გოგებაშვილის ლექსები.

შეხვედრას ესწრებოდნენ: მუსიკალური სკოლის დირექტორი ლია ნაზარიშვილი, ახალქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომლები, გიორგი დარბაშვილი, საჯარო სკოლის პედაგოგები, მშობლები, ახალქალაქის ორივე საბავშვო ბაღის აღსაზრდელეები, მოხალისე ახალგაზრდები.

